საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/498

ქ. ბათუმი 07 ივლისი, 2023 წ.

2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო

ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის 2023 წლის 06 ივნისის MES 3 23 0000649284 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცა ბსუ-ს რექტორის **2023 წლის 07 ივნისის N01-08/463 ბრძანება, რომლთაც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტთა **მიმართ** (წინამდებარე ბრძანების **დანართი №1** - მე-4-9 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები), რომელთაც 2023 წლის 06 ივნისის მდგომარეობით სრულად არ ჰქონდათ გადახდილი 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 07 ივლისის N844284 სამსახურებრივი ბარათის თანახმად 2023 წლის 07 ივლისის მდგომარეობით ამავე ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის მე-9 ნაკადის ჩათვლით ჩარიცხულ ზოგიერთ სტუდენტს კვლავ არ გადაუხდია მათზე რიცხული სწავლის საფასურის დავალიანება, მაშინ როცა 2022-23 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყო 2023 წლის 20 მარტს, ხოლო ადმინისტრაციული წარმოება 2023 წლის 07 ივნისს.

ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის'' **(შემდეგში - ,,წესი")** მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,2. ბსუ-ში სწავლის მე-3 სემესტრიდან და ყოველ მომდევნო სემესტრში, სწავლის წლიური საფასურის ნახევარი, როგორც წესი, გადახდილი უნდა იქნეს (ადმინისტრაციული რეგისტრაცია გავლილი უნდა იქნეს) არაუგვიანეს ახალი სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში (თუკი ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სტუდენტთა მოზიდვის შესახებ შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით ან სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული). ამავე წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: ,,3. სწავლის მე-2 წლიდან (მე-3 სემესტრიდან) სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, თუკი დადგენილ ვადაში გაივლის ამ სემესტრის აკადემიურ რეგისტრაციას, მაგრამ არ გადაიხდის სწავლის საფასურს სრულად (არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას).''

ზემოაღნიშნული წესისა და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 07 ივლისის N844284 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2022 - 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტებს შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე **სწავლის საფასურის გადახდის წესის** დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის **2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის''** (ცვლილება - ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 იანვრის N01-02/06 ბრძანებით), ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის 2023 წლის 06 ივნისის MES 3 23 0000649284 და 07 ივლისის N848114 სამსახურებრივი ბარათის, ,,2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ივნისის N01-08/463 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 07 ივლისის N844284 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 5 ივლისის №01-14/285 ბრძანების (რექტორის მივლინების შესახებ), საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტებს (წინამდებარე ბრძანების **დანართი №1** - მე-4-9 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები), რომელთაც 2023 წლის 07 ივლისის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ 2022-2023 სასწავლო წლის სწავლის საფასური.

2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის **ფაკულტეტმა უზრუნველყოს** წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული თითოეული **სტუდენტის ინდივიდუალური ინფორმირება,** ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში შექმნილი საკომუნიკაციო ყველა საშუალების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის უფლებების შესახებ დამატებითი კონსულტაციის გაწევა.

3. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და შესაბამის ინფორმაციასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში).

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ნანა მაზმიშვილს (თარგმნისათვის).

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობითი დადგენილი წესით და ვადაში.

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**

,,2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ივლისის N01-08/ 498 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტები (წინამდებარე ბრძანების **დანართი №1** - მე-4-9 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები), რომელთაც 2023 წლის 07 ივლისის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ 2022-2023 სასწავლო წლის სწავლის საფასური და **შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მათ შორის:**

მე-4 ნაკადზე ჩარიცხულ 5 სტუდენტს;

მე-5 ნაკადზე ჩარიცხულ 6 სტუდენტს;

მე-6 ნაკადზე ჩარიცხულ 5 სტუდენტს.

№	*სტუდენტის სახელი და გვარი*			*პ/ნ*	*ჩარიცხვის წელი*	*ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი*
1	ანანდჰუ	ლალ	როილალ		2017	**4**
2	საჩინ	საილასი			2017	**4**
3	თომას	ანნ	მარი		2017	**4**
4	არავინდ	რავიინდრან			2017	4
5	ამიინუდდინ	აფშაან	კჰან		2017	4
6	შრიტეჯ	შეეტი			2017	5
7	ამიტ				2017	5
8	კირან				2017	5

9	მანასა	კასი			2017	5
10	კართიკაი				2017	5
11	საკში	შარმა			2017	5
12	რაჯან	კუმარ			2017	6
13	საუმია	ტრიპატჰი			2017	6
14	ჰარუნ				2017	6
15	აფზალ	ნავალ	ხან		2017	6
16	მოჰამმად	ფარჰან	სალიმ		2017	6